ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘᲡ № 188 (12700) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი შეხვდნენ ავსტრალიის კომუნისტურის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. შარკის და ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს რ. დიქსონს.

აზრთა გაზიარებამ, რაც საუბრის დროს გაიმართა, კვლავ დაადასტურა, რომ ერთიანია ორივე პარტიის შეხედულებანი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. საუბრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ავსტრალიის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირების დოკუმენტებს.

საუბარმა გულითად, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. გ. კორიონოვი.

180.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). — ზუგდიდელი მეჩაიეები ვალში არ დავრჩებით სამშობლოს წინაშე! — ასეთი დევიზით დაიწყეს მუშაობა ივლისში რაიონის მეჩაიეებმა. საქმეც კარგად წარიმართა. ივლისის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. აგვისტოს პირველ დეკადაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი ჩაი იკრიფება. 10 აგვისტოსათვის მოკრეფილია 28.350 ტონამდე ჩაის ნედლეული. ერთ დღეს მოიკრიფა 272 ტონა. გასულ წელთან შედარებით კი მოკრეფილია 785 ტონით მეტი.

რაიონში ჩაის ფოთლის წლიური გეგმა პირველმა შეასრულა საჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ტ. შენგელია), აქ 130 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 135 ტონა ნედლეული.

წელს განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ჭადურაშის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა (თავმჯდომარე ო. ანთია). ჭკადუაშელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 680 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 684 ტონა ჩაის ფოთოლი და ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფონ 320 ტონა.

ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ საწარმოო სამმართველოში მოკრეფილია 8.200 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, წლიური დავალება შესრულებულია 87 პროცენტზე მეტით. გუშინ მოიკრიფა 70 ტონა. გასულ წელთან შედარებით რაიონში მოკრეფილია 525 ტონით მეტი.

ჩაის კრეფის წლიური გეგმების შესრულება პირველმა უპატაკეს საწარმოო სამმართველოს ᲥᲕᲐᲜᲘᲡ, ᲛᲐᲩᲮᲕᲐᲠᲗᲘᲡ ᲚᲐᲨᲘᲡᲚᲔᲚᲘᲡ და სხვა კოლმეურნეობებმა. სოფელ აცანის კოლმეურნეობამ ივლისში გადაჭარბებით გაანადღა ნაკისრი ვალდებულება, აგვისტოში კიდევ უკეთ მუშაობს. წლიური დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური შრომის გმირებმა **ᲨᲣᲠᲐ** და **ᲕᲐᲠᲗᲐᲠᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲑᲘᲡ**, **ᲕᲐᲠᲓᲔᲜ ᲣᲤᲘᲪᲘᲜᲐᲡ**, **ᲚᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲢᲐᲯᲘᲫᲔᲗᲡ** და სხვებმა. თვითეულს მოკრეფილი აქვს 4-5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ᲒᲝᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘᲡ საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა სეზონის დაწყებიდან 6.750 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. გუშინ წვიმდა, მიუხედავად ამისა, მოიკრიფა 70 ტონა ჩაის ნედლეული. წლიური გეგმის შესრულებაში თავი ისახელა დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეთხუთმეტე ბრიგადამ, რომელსაც ნოდარ ჯანჯღავა ხელმძღვანელობს. ბრიგადამ წლიური დავალება უკვე 137 პროცენტით შეასრულა.

ᲑᲘᲫᲘᲙᲐ ᲙᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ბრიგადამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 29 ტონის ნაცვლად 32 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო ამრიგად გვლავას ბრიგადამ 34 ტონის ნაცვლად 37 ტონა. **ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲧᲕᲐᲜᲘᲐᲛ** უკვე მოკრიფა 5 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3 ტონისა. **ᲨᲣᲠᲐ ᲙᲠᲐᲮᲑᲘᲫᲘᲜᲐᲛ** მოკრიფა 5,2 ტონა ნაცვლად 2,5 ტონისა. **ᲛᲐᲘᲠᲐᲜᲓᲐᲜ ᲐᲚᲛᲐᲮᲘᲜᲔᲛᲐ** წლიურ გეგმას ერთი ტონით გადაამეტა.

სეფიეთის კოლმეურნეობაში მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი ქ. ხუროლავა) წლიური დავალება 104 პროცენტით შეასრულა. **ᲒᲔᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** სახელობის კოლმეურნეობაში **ᲛᲐᲠᲒᲝ ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲐᲛ** 4 ტონამდე ფოთოლი მოკრიფა, წლიური გეგმა კი 2,9 ტონას ითვალისწინებდა. ნაგვაზოელმა **ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲛᲔᲓᲕᲘᲔᲚᲛᲐ** სულ მოკრიფა 3.600 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ᲡᲐᲠᲘᲡᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

1963 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ	ᲒᲔᲒᲛᲐ 1963 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ	ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘ	ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ	ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ	ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘ
ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	27000	5940	23307	86,3	29,5
ᲒᲐᲚᲘᲡ	14110	3104	12160	86,2	29,0
ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ	9990	2198	8762	87,7	29,8
ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ	2900	638	2385	82,2	30,9
ᲐᲮᲗᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	27000	5938	24397	90,4	13,8
ᲩᲐᲓᲘᲡ	26820	5898	24188	90,2	13,8
ᲮᲣᲚᲝᲡ	180	40	209	116,1	25,0
ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ	37605	8270	32612	86,7	20,3
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ	33200	7300	28656	86,3	26,7
ᲪᲮᲐᲯᲐᲘᲡ	9680	2130	8752	90,4	26,7
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ	9395	2070	8103	86,2	21,3
ᲒᲔᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘᲡ	8370	1843	6690	79,9	25,3
ᲧᲕᲐᲚᲐᲤᲨᲘᲡ	6300	1385	6424	102,0	21,6
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ	3938	865	3807	96,7	36,1
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ	285	60	323	113,3	36,7
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ	165	35	213	129,1	37,1
ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ	62	14	73	117,7	28,6
ᲡᲣᲚ	163000	35850	143357	87,9	23,2
1962 ᲬᲚᲘᲡ 10/VIII ᲘᲣᲜ	155000	35312	135541	87,4	20,8
1963 ᲬᲚᲘᲡ 5/VIII ᲘᲣᲜ	163000	35850	138208	84,8	8,9

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ — ᲘᲓᲔᲝᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სკოლას წამყვანი როლი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის სულიერი სახის ჩამოყალიბებაში. სწორედ სკოლაში ეყრება საფუძველი ცოდნას, ინერგება შრომის სიყვარული, კომუნიზმის მომავალი მშენებლის მაღალი მორალური თვისებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. საჭიროა, რომ მთელი სასწავლო პროცესი, თვითეული გაკვეთილი ხელს უწყობდეს მოსწავლეთა აღზრდას კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი იდეურობის სულისკვეთებით.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლებსა და ტექნიკუმებში ახალი კურსის — საზოგადოებათმცოდნეობის შეღებვას. ახალი კურსი, რომელიც აიარაღებს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დიდმნიშვნელოვანი ცნობებით ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, კომუნიზმის მოძღვრების დარგიდან, მოწოდებულია დაეხმაროს მოსწავლეებს განაზოგადონ და გააფართოონ ცოდნა, რომელიც მათ მიიღეს მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის დროს, ჩამოაყალიბონ ეს ცოდნა კომუნისტური მსოფლმხედველობის მწყობრ სისტემად, გამოიმუშაონ მაღალი თვისებანი, რომლებიც ესაჭიროებათ ახალი საზოგადოების გამარჯვებისათვის მებრძოლთ.

საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებამ საშუალო სკოლების გამოსაშვებ კლასებში და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უფროს კურსებზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის აღზრდის მთელ რთულ პროცესზე. პირველი გაკვეთილებიდანვე, რომლებიც გასული სასწავლო წლის მეორე ნახევარში დაიწყო, მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ახალი საგნისადმი.

ამას წინათ, ახალი სასწავლო წლის წინ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, „საშუალო სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ამ საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

ამიერიდან საზოგადოებათმცოდნეობას-სკოლების გამოსაშვებ კლასებში ასწავლიან 1 სექტემბრიდან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ამ საგნის შესწავლის ასეთი წესი შესაძლებელს გახდის უფრო. თანაბრად მოეწყოს სასწავლო მეცადინეობა — კვირაში ორ-ორი საათი მთელი წლის განმავლობაში, ნაცვლად ყოველკვირეული ოთხი-ხუთი საათისა წლის მეორე ნახევარში, როგორც დღემდე იყო. ამის მეოხებით მოსწავლეებს მეტი დრო ექნებათ კლასგარეშე და შინ მეცადინეობისათვის საზოგადოებათმცოდნეობაში, რომ უფრო გულდასმით მოემზადონ გაკვეთილებისათვის და, მაშასადამე, უფრო ღრმად გაეცნობიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, კომუნისტური პარტიის პოლიტიკას.

ცნობილია, რომ სწავლების ხარისხი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებლებზე, მათს ცოდნასა და მეთოდურ ოსტატობაზე. ამიტომ მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ საწარმოო სამმართველოთა პარტიულმა კომიტეტებმა, პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები თავიანთ ნომენკლატურაში შეიყვანონ. ეს არის ნიშანი განსაკუთრებული ნდობისა, დიდი ზრუნვისა იმისათვის, რომ საზოგადოებათმცოდნეობის კურსებზე მოსწავლეებს უხსნიდნენ ყველაზე კარგი, ყველაზე მცოდნე პედაგოგები.

სასწავლო წლის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ახლა ადგილებზე ბევრი პარტიული კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლების შერჩევისა და განაწილებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ 1 სექტემბრისათვის ყველა სკოლას ჰყავდეს საზოგადოებათმცოდნეობის კარგი მასწავლებლები. მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ვეხმარებოდეთ მასწავლებლებს მათი მეცნიერულ-თეორიული მომზადების გაფართოებასა და გაღრმავებაში, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფაში. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან არა მარტო კონტროლს უწევდნენ, თუ როგორ მიმდინარეობს საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება, არამედ ყოველდღიურადაც უჭერდნენ მხარს მასწავლებლებს მათს კეთილშობილურ შრომაში, აწყობდნენ მათთვის სემინარებსა და კონსულტაციებს, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ მუშაობის დადებითს გამოცდილებას. ამასთან დიდი როლის შესრულება, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში, შეუძლიათ პარტიული განათლების კაბინეტებს. სეროზული დამარება უნდა გაუწიოს მასწავლებლებს პრესამაც. გაზეთები და ჟურნალები მოვალენი არიან მასწავლებლებისა და მოსწავლეების დასახმარებლად აქვეყნებდნენ თეორიულ სტატიებს, აშუქებდნენ საუკეთესო მასწავლებელთა მიღწევებს.

საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების დონე ბევრად არის დამოკიდებული ამ საგნის სახელმძღვანელოს ხარისხზე. პედაგოგების, ფართო საზოგადოებრიობის საერთო აღიარებით, ძირითადად კარგია „საზოგადოებათმცოდნეობის“ შრომა გამოშვებული სახელმძღვანელო, რომელიც ხელახლა იქნება გამოშვებული ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის. ამასთან ერთად სწავლების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ სახელმძღვანელოს შემდგომი სრულყოფა სჭირდება. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობასა და ავტორთა კოლექტივს წინადადება მიეცათ განაგრძონ მუშაობა წიგნზე, რათა მისცენ სკოლებს 1964-1965 სასწავლო წელს ახალი, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა სკოლების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ უფრო სრულად გათვალისწინონ პრაქტიკოს მუშაკთა წინადადებანი, და სურვილები, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა და სახალხო განათლების სამინისტროებმა, რუსეთის სფსრ პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიამ საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა წამოაყენონ თავიანთი წინადადებანი სახელმძღვანელოს გასაუმჯობესებლად.

საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში ბევრი მასწავლებელი უნარიანად იყენებს მარქსზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ტაბარა მოსაზრებებს, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომ ნაწარმოებებს, მეცნიერულ-პოპულარულ, პოლიტიკურ ლიტერატურას. ეს ლიტერატურა ჩვენს ქვეყნაში მასობრივი ტირაჟებით გამოდის, და. თითქოს, ყოველ სკოლას საკმაოდ უნდა ჰქონდეს იგი. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების ინერტულობის გამო გასულ სასწავლო წელს იყო ბევრი შემთხვევა, რომ სკოლები, განსაკუთრებით სოფლის სკოლები, სიძნელეებს განიცდიდნენ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისათვის საჭირო დამატებითი ლიტერატურის შეძენაში. წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში. გარდა ამისა, პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას უფლება მიეცა, თუ ეს საჭირო იქნება, სსრ კავშირის ფოლიტიკური და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იაფ გამოცემებად გამოუშვას საჭირო მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა. ამისათვის, რომ საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილები უფრო გასაგები, საინტერესო გახდეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროსთან ერთად სკოლის დასახმარებლად უნდა მოამზადოს სპეციალური სერია დიაფოლმეტრისა და მოკლემეტრაჟიანი კინოსუბრათებისა, რომლებიც გააშუქებენ კურსის კონკრეტულ თემებს.

შარშან ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეთა დახმარებით ამზადებდნენ თვითნაკეთ თვალსაჩინოებებს. ეს იწვევდა დროის, სახსრების დიდ ხარჯვას, ზოგჯერ შეცდომებსაც უშვებდნენ. რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროსა და მის სასწავლო-პედაგოგიურ გამომცემლობას დაევალათ შეიმუშაონ და **1964-1965** სასწავლო წლისათვის გამოსცენ ახალი საგნის ნაბეჭდი თვალსაჩინოებანი მთელი ჩვენი ქვეყნის სკოლებისათვის გამომცემლობანი მოვალენი არიან თვალსაჩინოებათა შედგენაში ფართოდ მოიზიდონ გამოცდილი მასწავლებლები.

ახლა საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები მეცადინეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. როგორც წესი, ასეთი კურსების მუშაობაში ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა საუკეთესო სპეციალისტები. მასწავლებლების წინაშე ლექციებით, საუბრებითა და მოხსენებებით გამოდიან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, მოწინავე საწარმოთა დირექტორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. საუკეთესო მასწავლებლები მსმენელებს უზიარებენ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების გამოცდილებას. იქ კი, სადაც ასეთი კურსები ჯერ შექმნილი არ არის, ეს დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. მომავალ სასწავლო წელს საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში ჩაბმული იქნება ბევრი ახალი მასწავლებელი, ამიტომ უკვე ახლა უნდა ვიზრუნოთ იმისათვის რომ შევუქმნათ მათ მუდმივად მოქმედი სემინარები. საჭირო იქნება ბევრი შრომა, რათა საფუძვლიანად შევიმუშაოთ ახალი საგნის სწავლების მეთოდიკა. ამას ხელი უნდა მოჰკიდონ რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ. ისინი მოვალენი არიან შეიმუშაონ და გამოსცენ შესაბამისი სახელმძღვანელოები და კრებულები.

ჩვენი ქვეყნის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის ფაკულტეტებზე შემოღებულია საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მეთოდიკის კურსი. სტუდენტები გაივლიან პედაგოგიურ პრაქტიკას ამ საგნში. პედაგოგიურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ იმისათვის, რომ უკვე მომავალ სასწავლო წელს ახალი კურსი მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე იკითხებოდეს.

საბჭოთა პედაგოგები მუდამ პირნათლად ამართლებდნენ დიდ ნდობას, რასაც კომუნისტური პარტია, მთელი ჩვენი ხალხი უწევენ მათ. ემეი არ არის, რომ ისინი ახალ სასწავლო წელსაც არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა ახალი წარმატებანი მოიპოვონ კომუნიზმის მომავალ მშენებელთა სწავლებასა და აღზრდაში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲕᲘᲣᲤᲕᲐᲜᲗᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

7-10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ მოსკოვში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებათა გამგეებმა მოადგილეებმა, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტების ზოგიერთმა მდივანმა იდეოლოგიის საკითხებზე. საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნების მოადგილეებმა, პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, პოლიტიკური განათლების სახლების გამგეებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების დირექტორებმა, პროპაგანდისტებმა, ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაკებმა.

თათბირმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და პოლიტიკური განათლების ამოცანები ახალ სასწავლო წელს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. თ. ილიჩოვმა.

საინფორმაციო მოხსენება თათბირის ამოცანების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილემ რ. ი. უდალცოვმა, გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს პოლიტიკურ განათლებას, ამჟამად 23 მილიონი კაცი ჩვენს ქვეყანაში ორგანიზებულად, პოლიტიკური განათლების სისტემაში სწავლობს პარტიის ისტორიას, ფილოსოფიას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას და სხვა საკითხებს.

ორატორებმა აღნიშნეს, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლება უკეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად, წამოაყენეს წინადადებანი, რომელთა მიზანია პოლიტიკური განათლების შინაარსისა და ფორმების შემდგომი სრულყოფა. ერთმანეთს გაუზიარეს პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული პოლიტიკურ განათლებაში პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს მდიდარი შესაძლებლობანი. აღინიშნა, რომ პოლიტიკური განათლების შექმნილი სისტემა ძირითადად შეესაბამება მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების ამოცანებს, კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდის ამოცანებს. ამავე დროს თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებანი სწავლის ორგანიზაციაში. მთავარი, რაც ხელს უშლის ბევრ პარტიულ ორგანიზაციას მიაღწიონ მარქსისტულ-ლენინური განათლების ქმედითობას, — ეს არის ფორმალიზმი, პროპაგანდის მოწყვეტა ცხოვრებისაგან. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც ჯეროვნად ვერ აფასებენ თვითგანათლების მეთოდს პოლიტიკურ სწავლებაში, რაც ამცირებს მის ქმედითობას, სერიოზულ ზიანს აყენებს კომუნისტებისა და უპარტიოების იდეური დონის ამაღლებას.

მომავალ სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემებისა და იმ პრაქტიკული ამოცანების უფრო ღრმა შესწავლა, რომლებსაც სახავენ პარტიის XXII ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმები, და უზრუნველყონ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების შესწავლა.

თათბირზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ კომუნისტებსა და უპარტიო ამხანაგებს შემდგომ განუვითარდეთ ცხოველი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმად დაუფლებისადმი, ნებაყოფლობითობის პრინციპის ზუსტად დაცვას სწავლების ფორმების არჩევის დროს. სიმძიმის ცენტრი საქმით უნდა გადავიტანოთ თეორიის დამოუკიდებელ შესწავლაზე. აღინიშნა, რომ საჭიროა მუდამ და ღრმად შეისწავლონ ეკონომიური თეორია ყველა მუშამ, კოლმეურნემ და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელმა კადრებმა, შემდგომ განავითარონ პოლიტიკური და საწარმოო პროპაგანდის ყველა მასობრივი ფორმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ი. სნასტინმა.

თათბირის მონაწილეთათვის წაკითხული იყო მთელი რიგი ლექციები და მოხსენებები, რომლებიც წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ვ. კორიონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქვეგანყოფილების გამგემ ვ. ვ. კორტუნოვმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორმა ი. პ. ფრანცევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა. (საკდესი).

ᲛᲝᲣᲬᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხის ტრადიციულ დღესასწაულს — მშენებლის დღეს მიეძღვნა მშენებელთა, საშენ მასალათა მრეწველობის მუშების საზეიმო კრება და ქალაქის პარტიული, კომკავშირულ, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც თბილისში გაიმართა.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: **გ. ა. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ, ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲜᲝᲕᲐ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲐ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ, ᲒᲘᲠᲒᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲐ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲐ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ, ᲒᲘᲠᲒᲚ

დეკუგანი ცხოვრებიდან

მთათა ჩივილი

რაიონულ ცენტრში წერილი მოვიდა. ფშავის მაღალმთიან სოფელ ხომიდან იწერებოდნენ: — ჩვენი სოფლის მცხოვრებლები ჩაბმული არ არიან საკოლმეურნეო შრომაში და განაგრძობენ კერძომესაკუთრულ საქმიანობას, მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი იღებს სამუშაოს ზაფხულობით, მთის იალაღებზე მოყვანილ პირუტყვს უვლის, მაშინ როცა ჩვენ კარგი კოლმეურნეობა გვქონდა და მდიდრადაც ვცხოვრობდით. ჩვენი სოფელი რატომდაც დუშეთის კოლმეურნეობას შეუერთეს, რომელიც ჩვენგან ძალზე შორს არის. რომ იტყვიან, ვართ ღვთისა და კაცისაგან დავიწყებულნი. დაგვეხმარეთ, რომ კვლავ განვიცადოთ საზოგადოებრივ ვად სასარგებლო შრომის სიხარული...

საქმის გასარკვევად ფშავში გავემგზავრეთ.

მაღაროსკარში ალექსი ხუცურაულს შევხვდით. ეს ახოვანი მთიელი ოც წელიწადზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ამავე სოფლის კოლმეურნეობას. ამჟამად იგი პენსიაზეა. ალექსისთან რომ ვსაუბრობდით, სოფლის ორღობეში ცხენსანი ქალი გამოჩნდა. იგი ალექსის მოკეთე ყოფილა უკანაფშავის სასოფლო საბჭოდან.

— ჩვენ თავმჯდომარეს ვერ იცნობ? ცუდ კაცს ამბობენ...

ამ კითხვამ ალექსის ღიმილი მოჰგვარა:

— პირველად როდი მეკითხებიან ამას, — გვითხრა ალექსიმ და დაუმატა: ამას წინათ თბილისში ავტოსადგურში მანქანას ველოდი. ვნახოთ, ზორიანლოს ხევსურები სკამზე ჩამოსხდნენ და რადაცაზე ცხარე კამათი გაიბეს, თან ჩემსკენ იყურებოდნენ, მერე ერთი მომიახლოვდა და მითხრა:

— შენ ჩვენი თავმჯდომარე არა ხარ?

— არა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ხევსურებმა რადი დაიჯერეს, ძლივს დავარწმუნე, რომ მათი თავმჯდომარე ლევან უძილაურია, კარგი კაციც არის, მაგრამ რა ქნას, როცა მას ფიზიკურად არ შეუძლია ყველა სოფლის შემოვლა.

— განა რამდენი სოფელია?

— მაგის დათვლას ბულალტერი უნდა, — გაიღიმა ალექსიმ.

ამასობაში თვითონ მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავკაცი ლევან უძილაურიც მოვიდა.

საფუძვლიანად გავეცანით კოლმეურნეობის ცხოვრებას.

— ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების გამხსენელება, — გვითხრა ლევანმა, — ცუდი საქმე როდია, მაგრამ ჯაჭნია სად, რა პირობებში. მაგალითად, ჩვენ შემოგვიერთდა ჩარგლის კოლმეურნეობა, რომელიც მაღაროსკარიდან შორს არ არის. ამან საგრძნობლობა მოუტანა როგორც ჩარგლელებს, ისე ჩვენ. მაგრამ როგორ უნდა განვდეკაცი, როცა შეგვიერთეს უკანაფშავის საბჭოში შემავალ სოფელ უძილაურებს მოსახლეობა და მთელი ხევსურეთი.

მაღაროსკარსა და მატიოს შუა მანძილი დაახლოებით ასი კილომეტრია. წელიწადში ექვსი-შვიდი თვე პირიქითი ხევსურეთი, დიდი თოვლისა და ზვავების გამო, მოწყვეტილია გარეშე სამყაროს.

ქალალდების მიხედვით ხევსურეთში ჩვენ გვყავს ოთხასი კომლი, რომლებზეც მოსავლელად მიჩენილია 518 სული კოლმეურნეობასთან ჩვენებურებს ალაბსვილფეხა პირუტყვი. ზღვაში ქვიშა რაფერი კაკუშირი არა აქვთ. არა, ძმაო, ვის დაუთვლია? საშუალება არა მაქვს ჩვენ ამის ღირსი არ ვიყავით. განა მთელ ვნახო ჩვენი კოლმეურნეები, გაფანტულნი ხევსურეთის 48 პატარ-პატარა სოფელში. გამოდის, რომ ისინი მე ვერ მცნობენ და იმათ მე. ჩემი აზრით, ასეთი გამსხვილება — დანაშაულია.

— იქნებ ეკონომიურად არის სარფიანი ამ კოლმეურნეობათა გამსხვილება?

— პირიქით, საზარალოა. ჩვენ ოდნავაც ვერ ვიყენებთ ხევსურეთის მთების შესანშნავ საძოვრებს, საქეიფოდ შეეძლო სახელი გაეთქვა ხევსურულ ძროხას, რომელიც საუკეთესოდ არის შეგუებული მთის პირობებს, მცირე საკვებზეც ოოლად გადის, მისი რძის ცხიმიანობა — 5-6 პროცენტს აღწევს. განა არ შეიძლება სწორედ ხევსურეთში მოგვეწყო ხევსურული ძროხების ორი-სამი სანიმუშო ფერმა? რა თქმა უნდა, შეგვეძლო, მაგრამ აბა სცადეთ ამის გაკეთება ასი კილომეტრის მანძილიდან. შატილისა და ბაცალიგოს ხევსურები მოკლებულნი არიან აღზრდის შესანშნავ სკოლას — კოლმეურნეობას. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხევსურეთში, გარდა ბარისახოსი, იშვიათად უჩენებენ კინოსურათებს, ბევრ სოფელში არ ისმის რადიოს ხმა, დიდი დაგვიანებით მიდის ყურნალ-გაზეთები.

მაღაროსკარიდან უკანაფშავში წავედით. უკან მოვიტოვეთ ჩარგლისხევი, ინო და მთის სხვა სოფლები, არაგვის ხეობას ორბის ბუდეებივით რომ გადმოყურებენ. ორწყალში გამოიდარა, ზზემორცხვად გაფლიმა წვიმებისგან შეწუხებული მთანი და ადამიანები. იალაღებზე ცხვრის გადარეკვის დრო იყო და მთელ ხეობაში ისმოდა ფარების ნელი შრიალი, ცხვრის ბღავილი და მწყემსთა შეძახილი.

...ორწყალში გზები იყრება. ერთი ბარისახოსაკენ მიემართება, მეორე კი მარჯვნივ ვიწრო ხეობის სიღრმეში იკარგება. ჩვენც ამ გზას მივყვებით და ნახევარ საათში კარგა მოზრდილ დაცემულ ჭალაში ვართ, ამ ადგილებს მწყემსები პატარა ყიზლარს ეძახიან, აქ არის საზაფხულო იალაღების ცენტრი, ყოველ ზაფხულს შუაფხოს მახლობელ მთებში ცხვარს აძოვებენ დუშელი და კახელი მწყემსები.

გარშემო, საითაც გაიხედავ, ყველგან მთები დგანან ჩაფიქრებული, ღრუბლებს ზემოთ, მწვერვალთა ფერდობებზე ფშველების პატარ-პატარა სოფლებია მიშენებული, იქ ასასვლელად კატასაც კი წრიალები დასჭირდება, მაგრამ აქაურებს მგლის მუხლი აქვთ და ჭარაფებზე სიარული არ უჭირთ.

ფშავში განთქმული ვაჟკაცი ბიჭური ბადრიშვილი მოვიკითხეთ. გვითხრეს, გალმა ტყეში არის წასულიო. გავხედეთ ფერდობს და გაგიკვირდა — იმ სიმაღლეზე ბერიკაცი როგორ უნდა ასულიყო. ოციოდ წუთში ბიჭური და უკანაფშავის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოსიბეს ციგროშვილი მოვიდნენ ჩვენთან. ბიჭური მაღალი, ხმელ-ხმელი ჭაღარა კაცია. სახეზე ყოველთვის რაღაც ნათელი დასთამაშებს. — ოთხმოცს მხოლოდ ორი წელიწადი მიკლიაო, — თქვა ბადრიშვილმა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ოსიბეი კი ახალგაზრდაა, ასე ოცდახუთი-ოცდაათი წლისა, საუბარში დინჯი და ეუჩქარებელი.

მაღაროსკარში დაწყებული საუბარი გაგრძელდა. ბიჭურმა თქვა:

— დედამიწამ უთხრა სიმართლეს, ჩემზე ძძიმე შენა ყოფილხარო. ასეა, ძმაო, სიმართლეს ვერსად წაუხვალ. რაიონის საქმე იყო ჩვენი ბაზალეთთან შეერთება. იქამდე 75 კილომეტრია, ასე რომ კოლმეურნეობასთან ჩვენებურებს ალაბრაფერი კავშირი არა აქვთ. არა, ძმაო, ვის დაუთვლია? საშუალება არა მაქვს ჩვენ ამის ღირსი არ ვიყავით. განა მთელ ლი. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან კოლმეურნეობა რომ ყოფილიყო, ყველა ეს საქმე ადვილად მოგვარდებოდა.

— სირცხვილი კია, რომ ჩვენთან პურის საცხობი არ არის და მწყემსები იძულებული არიან პურის სასუდილად ბარისახოში იარონ. არ არის ბანაო, სასადილო, მთებიდან ჩამოსულმა მეცხვარემ გემრიელი ლუკმა რომ ჭამოს. ახლა გზას არ იტყვიან? ორწყლის ზემოთ ერთი კლდეა, ყოველთვის იქ ხდება ხოლმე ავარიები, განა რა უნდა მის აფეთქებას! დიდი არაფერი, ოლონდ მონდომება იყოს.

— ექიმი გყავთ? — შეეკითხეთ მახპინძლებს.

— გიორგი თევდორაძის შემდეგ ექიმი არა გვყოლია.

— განა არ გჭირდებათ?

— როგორ არა გვჭირდება, ამ კლდეღრიდან ავადმყოფის წაყვანა ზოგჯერ შეუძლებელია, შარშანწინ ერთი მწყემსი ავად გახდა, ამხანაგმა ზურგით ატარა და სანამ თიანეთს ჩაიყვანდა გზაში მოუკვდა. შარშან ერთი ქედელი მწყემსი დაეჭრა და საავადმყოფოში მხოლოდ მეაამე ღღეს მიიყვანეს. დაიღუპა კაცი.

გამახსენდა. რაიონის მთავარი ექიმის რევაზ მელაძის ნათქვამი: — უკანაფშავში კი არა, ზოგიერთ ახალგაზრდა ექიმს რაიონული ცენტრიდან 5 კილომეტრზე

ა. თომაძე,
ღუშეთის რაისაბჭოს დეპუტატი.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

ᲥᲕᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲓᲣᲚᲔᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოდნობა ძირითადად დამოკიდებულია ღუმელის ქვედის წესიერ მუშაობაზე. ღუმელის ხანგრძლივი ექსპლოატაციის დროს ქვედი ზიანდება. ამიტომ დნობის ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმალურად წარმართვისათვის თვეში ოთხჯერ წარმოებს ყოველი ღუმელის ქვედის პროფილაქტიკური შეკეთება. ამ შეკეთების დროს ადგილი აქვს სათბობი და გასაწყობი მასალების დიდ ხარჯს, ნაკლებია ფოლადის გამოსავლიანობა.

სალუსტრაციოდ მოვიყვან ციფრობრივ მაგალითებს, 1958 წელს ღუმელის ქვედების შეკეთების შედეგად ჩვენთან მარტენის საამქროში მოცდენამ 4 პროცენტი შეადგინა. ასევე იყო შემდგომ წლებშიც. ვიდრე ქართველმა მეფოლადეებმა ტექნიკური სიახლე არ შეიტანეს ღუმელების ქვედების მომსახურებაში.

რა სიახლეზე გვაქვს ლაპარაკი?

ურალში ბოლო ხანებში დაინერგა ღუმელების ქვედების დადუღების ახალი მეთოდი. ჩვენ, ქართველმა მეფოლადეებმა, საკმაოდ ვცანით გადმოგვეღო იგი.

წინათ ქვედის შეკეთებისას ვახდენდით მაგნეზიტის ფხვნილის გახურებას და დაწყდებას, რაზეც გვჭირდებოდა 5-6 საათი. ამასთან დიდი იყო საწვავისა და ბუნებრივი გაზის ხარჯი. ურალელი მეტალურგების მაგალითისამებრ ამჟამად მაგნეზიტის ფხვნილს აღარ გახურებთ, არამედ ეფქვავთ 0,2 მილიმეტრის ზომით. ამ მეტად მარტივი ღონისძიებით მეტალურგიაში, შეიძლება ითქვას, სრულიად ახალი სიტყვაა ნათქვამი. ჯერ ერთი, გამარტივდა მაგნეზიტის ფქვილის შეტანის პროცესი ღუმელში, ზედმეტი გახდა მისი გახურება და წოდვა. იმავე პროცესზე წინათ რომ 5-6 საათი ვგეხარჯებოდა, ახლა მხოლოდ ერთი-ერთნახევარი საათია საჭირო.

ეს მეთოდი სულ რაღაც სამი თვეა, რაც დავნერგეთ.

შედეგი?

საუკეთესო. ღუმელების მოცდენა 0,8 პროცენტამდე დავიყვანეთ. ამის შედეგად წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოდნობილია რამდენიმე ათასი ტონით მეტი ფოლადი. გამოანგარიშებულია, რომ ამ ახალი მეთოდის გამოყენების შედეგად წელიწადში მრავალი ათასი ტონით გაიზრდება ფოლადის წლიური დნობა. ეს კი პატარა მიღწევა როდია.

რუსთავის მეფოლადეები, რომლებიც სისტემატურად ნერგავენ წარმოებაში ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, კვლავაც მზად არიან ახალი ტექნიკური სიახლენი შეიტანონ ყოველდღიურ საქმიანობაში და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსამზადებლად.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ

ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲔᲡᲙᲐᲞᲝᲜᲘ — ᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲐᲚᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ — ᲔᲡᲙᲐᲞᲝᲜᲘ. ᲔᲡᲙᲐᲞᲝᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡᲙᲐᲞᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠᲯᲘ

საერთაშორისო
დეკემბერი სალაბორატორიო
ცხოვრება

ᲐᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ ᲔᲚᲝᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲯᲚᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲝᲤᲘᲐ. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულება, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, პირველი რეალური ნაბიჯია უფრო ფართო საერთაშორისო შეთანხმების მისაღწევად. ხელშეკრულებასთან თითქმის ყველა სახელმწიფოს შეერთება გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერი და უძლეველია ყველა ხალხის მისწრაფება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისადმი. ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვიდნენ მხოლოდ ყველაზე რეაქციული, ყველაზე აგრესიული ძალები. მათ სოლიდარობას უცხადებენ ჩინეთისა და ალბანეთის მთავრობებიც. ჩინეთის მთავრობა გამოვიდა კიდეც უარეცენდენტო განცხადებით, რომელშიც ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობას, რომ იგი თითქოს გაერთიანდა რეაქციის ძალებთან სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ. ეს გაუგონარი სამარცხვინო დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ ჩინელმა ხელმძღვანელებმა დაივიწყეს მარქსისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველაზე ელემენტარული საფუძვლები. ვერავითარი ფსევდომარქსისტული მსჯელობა და ანტისაბჭოთა დეკლარაცია ვერ გაამთელებს იმ ეშმაკრიტებას, რომ მოსკოვის ხელშეკრულება „შვიდობის ძალების დიდი წარმატებაა.

ᲞᲠᲐᲰᲐ. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება შეესაბამება საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება მთელს მსოფლიოში, ნათქვამია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის აქტიურად უჭერდნენ მხარს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა და დარწმუნებული

გაშლილი პროგრამით

მოსკოვი. 12 აგვისტო. (ტელეფონით). სპარტაკიადა გაშლილი პროგრამით მიიწევს ფინიშისაკენ.

მთელ რიგ სახეობებში უკვე ამოიწურა შესარჩევი შეხვედრები. იწყება დასკვნითი ტურნირები. სპორტული მიღწევები მაღალია. სპარტაკიადის დღეებში დამყარებულია მსოფლიოს ოთხი, ევროპის ხუთი, სსრ კავშირის თოთხმეტი და რესპუბლიკათა 85 რეკორდი.

გასულ კვირას პირველ პლანზე მოჰიდავეთა ტურნირის ფინალი იდგა, სადაც ჩვენი რესპუბლიკიდან 5 სპორტსმენი მონაწილეობდა. წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები: ო. ეგაძე, რ. რურუა, რომლებიც მჩატე და ქვემსუბუქ წონებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აბაშიძე მეხუთე ადგილზე გამოვიდა, გვანცელაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ხუთარიშვილი მესამე ადგილზე გამოვიდა. გუნდურ შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა უკრაინის კოლექტივი. საქართველოს სპორტსმენები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის მოჰიდავეებმა გასულ სპარტაკიადასთან შედარებით დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მეექვსედან მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს.

საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა მორიგი დამარცხება განიცადა სომხეთის კალათბურთელებთან ანგარიშით 38:54.

ქალებს არც ჩვენი ვაჟები „ჩამორჩნენ". ესტონელებთან მატჩის წაგების შემდეგ ფინალში გასვლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელებთან შეხვედრას. მაგრამ საქართველოს გუნდმა წააგო ანგარიშით 46:58.

მძლეოსნობა სპარტაკიადის პროგრამის ყველაზე მასობრივი სახეობაა. 1.500 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე.

გუშინდელი პაექრობიდან ყველაზე მეტი მაყურებელი იმ სექტორს ყავდა, სადაც სიმაღლეზე ხტომა მიმდინარეობდა. მსოფლიო რეკორდსმენ ვ. ბრუმელთან ერთად ვხედავდით რ. შავლაყაძეს და სხვებს. ბრუმელის საუკეთესო შედეგი იყო 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი, შავლაყაძისა — 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი. ჩემპიონი გახდა ვ. ბრუმელი, რ. შავლაყაძე მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

800 მეტრზე რბენაში — საქართველოს მძლეოსანი ე. გონჩაროვი ფინალში მოხვდა. ამასთან მან რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 51,2 წამი.

საქართველოს წყალბურთელთა გუნდს ახასიათებს სტაბილურობა, ურყევი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ამის ნიმუში იყო თუნდაც გუშინდელი მატჩი. თავიდან თამაში უკრაინელებს მიჰყავდათ. 3:1. მაგრამ აქ თავი იჩინა საქართველოს გუნდის შესანიშნავმა მორალურმა თვისებებმა მთელი ფრონტით ამოძრავდა ყველა რგოლი მიმინოშვილის, ჩიქვანაიასა და ჩხიკვაძის ძლიერი ტორცნები მიზანს ხვდებოდა. მოპოვებული იქნა მეტად საჭირო გამარჯვება: ანგარიშია 4:3. საქართველოს გუნდს უზრუნველყოფილი აქვს ფინალში მონაწილეობა.

ჩოგბურთელები განაგრძობენ გუნდურ ასპარეზობას. გუშინდელ შეჯიბრებაში. ყურადღების ცენტრში იყო უკრაინისა და საქართველოს ძლიერი კოლექტივების ბრძოლა. გაიმარჯვეს უკრაინელებმა ანგარიშით 8:7.

ტანმოვარჯიშეებმა ალამი დაუშვეს. აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა შორის ფურატოვამ (მოსკოვი) და ბორის შახლინმა (უკრაინა). იარაღებზე უძლიერესები იყვნენ: ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში — ახტახოვა (უკრაინა), ბჯენით ხტომებში — მანინა (ლენინგრადი), დვირზე ვარჯიშში — ვოლჩეცკაია (ბელორუსია), თავისუფალ ვარჯიშში — ტიაფელოვა (მოსკოვი), ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა რგოლებზე ვარჯიშში ლეონტიევმა (მოსკოვი), ტაიჭზე — ცაპენკომ (უკრაინელი), თავისუფალ ვარჯიშებში — გრომოვმა, ბჯენით ხტომებში — აზნაურიანმა, ორძელზე ვარჯიშებში — ბ. შახლინმა (უკრაინა), ღერძზე — პ. სტოლბოვმა (მოსკოვი). საქართველოს ტანმოვარჯიშემ ნ. მაღლაფერიძემ ბჯენით ხტომებში მეექვსე ადგილი დაიკავა.

უკანასკნელი ტურის წინ ცნობილი იყო ფინალისტთა ხუთეული—ჭადრაკში. ესენი იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, რსფსრ და ბელორუსიის გუნდები. მეექვსე ფინალისტის გამოსავლინებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და ლატვიის გუნდების დღევანდელ ორთაბრძოლას.

ლატვიის ან როგორც მას უწოდებენ ტალის გუნდთან საჭირო იყო ოთხი ქულის შეგროვება, რომ ჩვენი მოჭადრაკეები ფინალში გასულიყვნენ. საქართველოს გუნდმა მოუგო ლატვიას და ფინალშიც გავიდა.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

სურათებზე: ზემოთ — ფიზკულტურელთა პარადი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. მოდის საქართველოს სპორტსმენთა კოლონა; ქვემოთ — (მარცხნიდან) სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ო. ეგაძე (მჩატე წონა), დ. გვანცელაძე (მსუბუქი წონა, მეორე ადგილი), ჩემპიონი რ. რურუა (ქვემსუბუქი წონა).

ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

უკანასკნელ საათს

დაიწყო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. მსუბუქ წონაში ბერიაშვილს მხოლოდ სამი წუთი და 34 წამი დასჭირდა, რომ სომხეთის წარმომადგენლის კარაპეტიანის წინააღმდეგ წმინდა გამარჯვება მოეპოვებინა.

ქვესაშუალო წონაში საღარაძემ ქულებით მოუგო თურქმენ მოჭიდავეს, ქვემძიმე წონაში გოგიბედაშვილმა 4 წუთსა და 31 წამში ორივე ბეჭით ხალიჩაზე მიაკრა უკრაინელი მეტოქე.

შედეგა უკანასკნელი მატჩები ფრენბურთში. ვაჟთა გუნდების შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იყო ლენინგრადისა და თბილისის გუნდების მატჩი. შეჯიბრება დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით, მიუხედავად ამისა ორივე გუნდი ფინალში გავიდა.

დღეგრ გამართულ შეხვედრათა შედეგებით ფარიკაობაში წინ არიან რსფსრ-ის მოფარიკავეები. მომდევნო ადგილი უკავია მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს. საქართველოს კოლექტივი მეხუთე ადგილზე იმყოფება.

ფეხგურთი

ფრე ესბერგში

კოპენჰაგენი, („კომუნისტის" სპეც. კორ. ტელეფონით). დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა ტურნე დანიაში. 14 აგვისტოს თბილისის „დინამო" შეხვდა ქ. ესბერგში ადგილობრივ გუნდს. თუმცა დანიის ფეხბურთის სამშობლოდ ქ. ვალეა აღიარებული, ფეხბურთის ნამდვილ სამშობლოს ესბერგი წარმოადგენს. „ესბერგი" 2 წელია დანიის პირველობის გათამაშების ლიდერია. წელს 11 თამაშიდან 18 ქულა მოაგროვა, 8 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება —ასეთია „ესბერგის" მაჩვენებლები. 1960 წელს რომში ოლიმპიური თამაშების ფინალში გასული დანიის ნაკრები ძირითადად „ესბერგის" მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. წელს „ესბერგი" მონაწილეობას იღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

თბილისის „დინამოს" „ესბერგის" სახით მრისხანე მოწინააღმდეგე ჰყავდა.

თუმცა წვიმდა, ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი.

თბილისის „დინამო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე (ლეკვავა), სეფინავა, ხუციელავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, მესხი.

მიუხედავად წვიმისა, თამაში მეტად სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ორივე მხრივ იერშს იერშში მოსდევდა. მე-18 წუთზე თბილისელთა კართან დაინიშნა კუთხური. საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობით ისარგებლა „ესბერგის" ცენტრფორვარდმა კარლ ბერტელსენმა და ბურთი თბილისელთა კარში გაიტანა.

იწყება სპპასუხო შეტევები. ჯერ ბარქაია, შემდეგ მესხი, სახიფათოდ უტიენენ, მაგრამ „ესბერგის" დაცვა ადგილზეა.

ორჯერ სასწაულით გადაარჩინა „დინამოს" კარი ს. კოტრიკაძემ.

პირველი ტაიმი ესბერგელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 1:0.

მეორე ტაიმი. თბილისელებმა თამაშში გარდატეხა შეტანეს. მე-10 წუთზე მესხი გაიჭრა გარღვევაზე და ბურთი ჩაუჭრა კალოევს, რომელიც თავური დარტყმით ქვეთავს ანგარიშს — 1:1. მე-15 წუთზე მეტრეველი პირისპირ გადის მეკარესთან, მაგრამ 4 მეტრიდან დარტყმული ბურთი სასწაულით ასცდა კარს. 21-ე წუთზე ბარქაია ზედიზედ ატყუებს „ესბერგის" სამ მოთამაშეს და ბურთი გაიქნს, მაგრამ მსაჯი არ თვლის.

26-ე წუთზე დანიელთა ცენტრფორვარდი ბერტელსენი პირისპირ გადის ლეკვავასთან, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა მსუბუქად ტრავმირებული ს. კოტრიკაძე, და ბურთი გააქვს „დინამოს" კარში — 2:1. დანიელებს მიჰყავთ ანგარიში. თბილისის „დინამომ" მხოლოდ 35-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. დათუნაშვილის მიერ ჩაწოდებული ბურთი გაიტანა ბარქაიამ.

ფრედ, 2:2 დამთავრდა „დინამოსა" და „ესბერგის" ეს მეტად საინტერესო ასპარეზობა.

შეხვედრის შემდეგ „ესბერგის" მწვრთნელმა არნე ზერნსენმა, „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში თქვა: — თბილისის „დინამო" საერთაშორისო კლასის გუნდია, მან გვიჩვენა ლამაზი ფეხბურთი. ჩვენთვის ეს საბრძოლო ფრეც დიდად სასიამოვნოა, თუმცა რევანში ვერ ავიღეთ.

დანიის პრესამ დიდი ყურადღება დუუთმო ქართველ ფეხბურთელთა ტურნეს. დანიის დეპეშათა სააგენტომ „რიტაუს ბიურომ" ინფორმაცია გაუცვალა ამ ტურნეს შესახებ „რეიტერს" და „ასოშიეიტედ პრესს". დანიის სხვადასხვა ჰოლიტიკური კურსის ცენტრალური გაზეთები „ლანდ ოგ ფოლკ", „ბერლინგსკე ტიდენდე", „ინფორმაშონი", ვეილუს გაზეთი „ვეილე ამტს ფოლკებლადი", ესბერგის გაზეთი „ვესტკუსტენი" აღნიშნავენ თბილისის „დინამოს" მაღალ ტექნიკას, სისწრაფეს, კომბინაციულ და გააზრებულ თამაშს.

სპარტაკიადაზე წინ მიდიან

I. უკრაინა — 444 ქულა
II. მოსკოვი — 436,5 ქულა
III. რსფსრ — 418 ქულა
IV. ლენინგრადი — 359 ქულა
V. საქართველო — 357,5 ქულა
VI. ბელორუსია — 308 ქულა.

დ. დ. მურვანიძე— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა დიმიტრი დიმიდეს-ძე მურვანიძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე — **„ნეფროპატოზი და მისი ოპერაციული მკურნალობა".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თანარსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა დიმიტრი დიმიდეს-ძე მურვანიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

ფოლკლორისტთა ექსპედიცია საჩხერეში

ამ დღეებში საჩხერის რაიონში მუშაობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის გაერთიანებული ფოლკლორული ექსპედიცია მუსიკათმცოდნე ო. ჩიჯავაძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრები იყვნენ ბოფლებში სავანეში, არგვეთში, ჩიხაში, ხრეითში, პერევისაში, ითხვისში, სვერსა და რგანში. ამ სოფლებში ჩაწერეს 60-მდე ძველი ხალხური სიმღერა. მათ შორის აღსანიშნავია „ნადური", „მუშური", „იმერული მგზავრული", „იმერული ცხენოსნური" და „იმერული მაყრული".

ა. ანასაშვილი.

მოკლედ

□ ჩაქვის რაიონის ცენტრში შეიქმნა ახალი ავტოსატრანსპორტო კანტორა, რომლის განკარგულებაშია ოთხმოცამდე სატვირთო, მსუბუქი ავტომანქანა და ავტობუსი. ახალი კომფორტული ავტობუსები დადიან მარშრუტით: ჩაქვი-ბათუმი, ჩაქვი-აჭარისწყალი, კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი", ჩაქვი-საზღვრისპირა სარფი და სხვ.

ნ. პავლოვა.

□ **ამბროლაურის** რაიონის ქალაქ ონში ცენტრალურ მოედანზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი საფოსტო შენობა.

კავშირგაბმულობის განყოფილებას აქვს საამბანათო რადიოკვანძი, ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქცია.

აკ. კერესელიძე.

ძვირფასი არქეოლოგიური ნაპოვნი

ბიათურა. (საკ. კორ.). ითხვისის ზეგანზე მარგანეცის ღია სამუშაოებით მოპოვებისას ექსკავატორი უძველეს სამარხს წააწყდა. ეს ამბავ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს აცნობეს. მალე აქ ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია რ. აბრამშვილის ხელმძღვანელობით და შეუდგა არქეოლოგიურ გათხრებს. სამარხის გახსნისას საინტერესო ექსპონატები აღმოჩნდა. ადამიანის და ცხენის ჩონჩხთან ერთად იქ იპოვნეს უძველესი საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ძვირფასი სამკაულები და ფაიზად დამზადებული თიხის სურა ბერძნული წარწერით.

აქ აღმოჩნდა აგრეთვე ქამრის ბრინჯაოს დიდი ბალთა ძვირფასი ორნამენტებითა და ვერძის გამოსახულებით, მინის დიდძალი ფერადი მძივები, ოქროს საყურეები, რომლებიც დიდი ხელოვნებითა და გემოვნებით არის დამზადებული. სპეციალისტების აზრით ეს სამკაულები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეს განეკუთვნება.

არქეოლოგიური განათხარების დამუშავება გრძელდება.

ბოიძარიძე განათლებით იურისტია. მიყვარს მასთან საუბარი, დავა კამათი... ის უბრალო საკითხსაც საინტერესო გასაუბრებად აქცევს ხოლმე.

ჯერჯერობით მინდა მოგითხროთ მხოლოდ ერთი მისი ნაამბობი:

...ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ერთ ღრმად მოხუცს შევხვდით. იგი წელში ოთხად მოკაკული მოდიოდა.

— გამარჯობა, ძია კოტე! — მიესალმა ბიძაჩემი.

მოხუცი შეჩერდა, თავი ოდნავ ზევით ასწია.

— რომელი ხარ, ბიჭო? — იკითხა მან და თვითონვე დაუმატა: ოჰ, გაგიმარჯოს. ეს ახალგაზრდა ვინ არის? — მიუთითა ჩემზე.

— ჩემი ქალიშვილია, ძია კოტე, — უპასუხა ბიძაჩემმა.

— რას ამბობ! ამოდენა ქალიშვილი გყავს? აი გაგიზარდოს ღმერთმა, ჩემი ხნისა გენახოს... სწავლობ, გოგონი? შენ გაგახაროს, შვილო, ღმერთმა. შენ გენაცვალოს ჩემი თავი...

მოხუცს რატომღაც გული აუჩუყდა, ცრემლიც მოერია. და წავიდა, წაჩანჩალდა მარტო.

— არ გაინტერესებს ამ მოხუცის თავგადასავალი? — მკითხა ბიძაჩემმა.

— ჩვეულებრივი მოხუცია, რა თავგადასავალი უნდა ჰქონდეს!

— უბედური ადამიანია.

— სიბერეს ზომაზე მეტად დაუჩაგრავს.

— არა, მე სხვანაირ უბედურებაზე გეუბნები.

უკვე ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. ვიცი რაღაც საინტერესო ამბავს მომიყვება.

იმავე საღამოს დაიწყო მოთხრობა და დიდხანს არ გაუგრძელებია, მალე დაამთავრა. მასში არ იყო ის, რასაც უნდა გაიტაცოს მსმენელი ან მკითხველი, არ იყო არც სიყვარული, არც გმირული რამ, არც გასაოცარი თავგადასავალი, რასაც შეუძლია ადამიანი აიღელვოს, აღფრთოვანოს, დააღონოს, გააბედნიეროს...

მე სხვა რამემ დამაღონა, სხვა რამემ შემაშფოთა, ცრემლი მომგვარა.

ძია კოტე! ასე ეძახდნენ ახალგაზრდებიც და ხნიერებიც. ოცდაათი წლის წინათ უმაღლეს სასამართლოში მუშაობდა.

დაფაცურდებოდა ძია კოტე. დარბოდა სართულიდან სართულზე, ხმამაღლა ეძახდა მოწმეებს, ადვოკატებს, ბრალდებულებს...

მაშინ იგი სამოცი წლისა იქნებოდა, მომცრო ტანის, საოცრად მარდი, მოძრავი, ხალისიანი, დაუზარებელი...

და იყო მარტოხელა.

— ტყუილად გაგიცდენია დრო, ძია კოტე, — ეუბნებოდნენ თანამშრომლები, — ოჯახი არ შეგიქმნია.

— მადლობელი ვარ, რომ გამახსენეთ, თორემ დამავიწყდებოდა! — დაცინვით იტყოდა ძია კოტე.

— არც ახლაა გვიან. ქვეკეთილ ბუფეტში რომ ქალი მუშაობს, ხომ იცნობ?

— ვიცნობ, მერე?

— შეირთე, ძია კოტე!

— მომცილდით, თქვენ სალახანებო!— შეუყვირებდა ხოლმე მოხუცი.

ერთ დღეს ძია კოტე კვლავ სასაუბროდ შეიტყუეს.

— ჩვენს კანცელარიაში ახალი თანამშრომელი ქალი მიიღეს სამუშაოდ. ნახე, ძია კოტე?

— ვნახე. ბავშვია, აბა იმას რა საქმე უნდა ანდოს კაცმა?

—საშუალო სასწავლებელი აქვს დამთავრებული, ძალიან ბეჯითი ქალიშვილია. ოღონდ საცოდავს თბილისში არავინა ჰყავს, ბინაც არ გააჩნია. ხან ერთ ამხანაგთან ათევს ღამეს, ხან მეორესთან.

— ო, ეგ ცუდია. ცოდვაა საწყალი გოგონა.

— თქვენ კი ერთ ოთახში სულ მარტო ცხოვრობთ. ჩვენ რომ თქვენს ადგილას ვიყოთ, წავიყვანდით იმ ქალიშვილს დავუთმობდით ერთ კუთხეს.

ძია კოტეს ეს იმდენად შეუძლებლად ეჩვენა, რომ გადაიხარხარა კიდეც.

ახალი თანამშრომელი, რომელსაც თამროს ეძახდნენ, დაღონებული იჯდა ხოლმე კანცელარიაში თავის მაგიდასთან, ბეჯითად წერდა რაღაც ქაღალდებს, უსიტყვოდ ასრულებდა დავალებებს. ძია კოტე თანაგრძნობით უცქერდა ქალს თითქოსდა მზისგან დამწვარ, სპილენძისფრად აელვარებულ სახეს.

— იცით, ძია კოტე, წუხელ თამროს დიასახლისმა გამოუცხადა, ორი დღის ვადას გაძლევ, ორი დღის შემდეგ ოთახი უნდა დამიცალოო.

— საცოდავი გოგონა!

ძია კოტე, თქვენ კეთილი ხართ, წაიყვანეთ.

—სად უნდა წავიყვანო? ერთი ოთახი მაქვს.

— ერთ ოთახს, რაც უნდა პატარა იყოს, ოთხი კუთხე აუცილებლად აქვს. დაუთმეთ ერთი ამ კუთხეთაგანი. პატიოსანი, სპეტაკი ქალიშვილია.

— ამისთანა ქალიშვილი ექსნი მაინც მეყოლებოდა, თავის დროზე ცოლი რომ



შემერთო.

— მერე რატომ არ შეირთეთ?

— ეს რა თქვენი ჭკუის საქმეა? მართლაც, ვისი რა საქმეა! არ შეირთო იმისათვის, რომ თავისუფალი ცხოვრება უყვარს. მას არ შეუძლია ოჯახის მონა იყოს. არ შეუძლია იცხოვროს ერთ ჭერქვეშ, თუკი მეორე ადამიანის სუნთქვა ესმის... დიახ, უყვარდა ძია კოტეს მარტოობა.

და აი ასეთი მსოფლმხედველობის კაცს აიძულებენ შეისახლოს ერთადერთ ოთახში ახალგაზრდა ქალი, დაათმობინონ მისთვის ერთი კუთხე, რათა დანარჩენ სამ კუთხეში ძია კოტემ ველარ იცხოვროს მარტო, სამსახურიდან დაბრუნებული ველარ გაშხლართოს დივანზე თავისუფლად.

არა, ვერ დათმობს ძია კოტე თავისუფლებას, სიმარტოვეს, უდარდელობას.

— რა ვქნა, — თქვა ძია კოტემ, — მებრალება ეს გოგონა, მაგრამ აბა როგორ შემიძლია წავიყვანამ!

მაგრამ ძია კოტეს ტყუილად კი არ შეარქვეს ძია. ეს მას კეთილი ხასიათისათვის უწოდეს. როგორ შეიძლება ბოროტ კაცს ძია დაუძახო.

და აი თამროს უკვე უჭირავს ერთი კუთხე ძია კოტეს პატარა ოთახში. ო, როგორ დაეტანჯა ოთახს ქალის ფაქიზი ხელი.

...გავიდა ორი კვირა. ძია კოტეს სასამართლოს შენობის კიბეზე შევხვდი.

— გამარჯობა, ძია კოტე! როგორია ხარ?

— ეჰ, ცუდად ვარ, ბიჭო. ძალიან შეშავიწროვა იმ ქალიშვილმა. მოსვენება დავკარგე.

— ნუ გეშინია.

—არ მეშინია, მაგრამ რა მეშველება, როდემდე უნდა ვიცხოვრო ასე?

— გათხოვდება და წავა.

— გათხოვდება? ბიჭოს, რა კარგად მოგაგონდა! ჩინებული აზრია.

— მაშ რა გეგონა, ახალგაზრდა ქალი არ უნდა გათხოვდეს?

— მაშ შენ ფიქრობ, გათხოვდება?

— აუცილებლად. ქალებს ძლიერ უყვართ გათხოვება.

ორიოდე წლის შემდეგ რომ შემხვდა ძია კოტე, უკვე ძლიერ ნერვიულობდა.

— კაცო, უთხარით ვინმემ, გათხოვდეს, წავიდეს...

— გათხოვდება, ძია კოტე, ცოტა კიდევ მოითმინე.

— ის დალოცვილი ცოტა ლამაზი მაინც იყოს.

— სილამაზე რა სავალდებულოა, სიმპათიური, ეშხიანი ახალგაზრდა ქალია. განა არ იცი, რაც უფრო ლამაზია ქალი, უფრო ძნელად თხოვდება.

...ბოსკოვს გავემგზავრე და ძია კოტე შვიდი წელი აღარ მენახა. ჩამოვედი და კვლავ შევხვდი.

— გამარჯობა, ძია კოტე!

მთელი სხეულით მობრუნდა, რადგან კისერი აღარ ემორჩილებოდა. თავი კი, თითქოს ვიღაცას ემალებაო, ვიწრო ბეჭებში ჩაძვრალიყო.

გამხდარა ძია კოტე, სიბერეს დაუჩაგრავს.

გაგიმარჯოს, ბიჭო! რომელი ხარ? ახ, ეს შენა ხარ? ვიღუპები ბიჭო,—კვნესით წარმოთქვა ძია კოტემ.

— რატომ, რა მოგივიდა?

—თხოვდება ჩემი ფიმრო, მტოვებს მარტო, უპატრონოდ, უმწეოდ. რა მეშველება მე უბედურს?

— ნუ გეშინია, ძია კოტე, არ გათხოვდება.

— შენს პირს შაქარი, იმედიც კარგია. იცრცხლე, ბიჭო.

ერთი წლის შემდეგ ისევ შემხვდა.

— ახლა კი ნამდვილად დავიღუპე. დღეს თუ არა ხვალ მაინც გათხოვდება. როგორ ვიცხოვრებ მარტო, ხელები მიკანკალებს. ჩაისაც კი ვერ ავიდუღებ. შიმშილით სული ამომძვრება უიმისოდ.

ჰოდა ნუ გეშინია, ვერ გათხოვდება.

...ძია კოტე, რუსთაველის პროსპექტზე რომ დიეტური სასადილოა, აქ სადილობს. მარქსის ხიდს გაიარეს, ჯორჯიაშვილის ამარათს შეუდგება და მიცოცავს, ისეა წელმოხრილი, ლამის ცხვირი საკუთარი ფეხების თითებს შეახოს და ბურთივით დამრგვალდეს.

კიდევ ბევრი რამ მიამბო ბიძაჩემმა მოხუცზე.

დავღონდი, ჩემს სიცოცხლეში ასე ძლიერ არავინ შემბრალებია.

მერე, ერთი წლის შემდეგ, თვითონ შეხვედი ძია კოტეს. ოდგა ქვაფენილზე და ელოდებოდა, ვიდრე ავტომანქანების გრიალი მიწყნარდებოდა და საშუალება მიეცემოდა ქუჩის მეორე მხარეს გადასულიყო.

— გამარჯობა, ძია კოტე! — შევძახე ბიძაჩემისებურად.

ვერ მიცნო. მოვაგონე ვინ ვიყავი.

— ო, მომაგონდა, მომაგონდა. შენ გიხარე, შვილო.

— ბარემ სახლამდეც მიგაცილებთ, ძია კოტე! — ვუთხარი, როცა ქუჩის მეორე მხარეს აღმოვჩნდით.

— არა, არა, ახლა აქედან ჩემს სახლამდე შორს აღარ არის.

— ჰოდა, მით უმეტეს, მიგაცილებთ. მეც იქით მივდივარ.

მოხუცმა ხელი მკლავში გამიყარა.

— რა კარგია, როცა ვინმე გშველის, შეგიძლია ვინმეს ხელი ჩაჰკიდო, — კმაყოფილებით თქვა მოხუცმა, — ესეც ჩემი სახლი. მადლობელი ვარ, შვილო.

— ბარემ კიბეზე აგიყვანთ.

— კიბეზე? კარგი, ამიყვანე...

მძიმედ დამეყრდნო მოხუცი.

— უჰ, რა მსუბუქად ავდივარ. ასე მჩატედ დიდი ხანია არ ავსულვარ ამ კიბეზე.

ორიოდე წუთში ძია კოტე თავის ოთახში იყო. ბოდიში მოიხადა, დაჯექი, შვილო, მითხრა და თვითონ დივანზე წამოწვა.

— ძია კოტე, ნუთუ არ შეგიძლიათ შინ მოიმზადოთ სადილი, თქვენთვის ხომ ძნელია ყოველდღე სასადილოში სიარული?

— აბა როგორ მოვიმზადო?

— თამრო ხომ ისევ აქა ცხოვრობს?

— ცხოვრობს, არ გათხოვდა. მაგრამ ხომ იცი, მუშაობს. ღილით ადრე სამსახურში მიდის, იქიდან საღამოს ბრუნდება, როდისღა უნდა მომიმზადოს სადილი. ჩემთვის ისიც დიდი ნუგეშია, რომ მარტო არ ვარ.

— მე რომ აქ ვცხოვრობდე, ძია კოტე, სადილს ყოველდღე მოგიმზადებდით და ქუჩაშიც მარტო არ გაგიშვებდით.

— რა კეთილი ყოფილხართ, რა კეთილი ყოფილხართ, — თქვა მოხუცმა და ჩაეძინა.

ერთი კვირის შემდეგ კიდევ მივედი ძია კოტეს სანახავად.

კიბეებზე, დერეფანში, მთელ შენობაში, რაღაც იდუმალი სიჩუმე სუფევდა.

ძია კოტეს ოთახის კარი ღია იყო.

შევედი.

მოხუცი გულაღმა იწვა, თითქმის აღარ სუნთქავდა, არც არაფერი ესმოდა, რაღაც სოოკარ თავდავიწყებაში წასულიყო. თითქოს არცკი სურდა ამ თავდავიწყებიდან გამოსვლა, თითქოს ისევენებდა ხანგრძლივი, დაუსრულებელი სიცოცხლისაგან...

იგი კვდებოდა.

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე — სიკვდილს ებრძოდაო.

არა, ის სიკვდილს არ ებრძოდა. იგი მას მშვიდობიანად უბრძოლველ ად, უსაყვედუროდ ეგებებოდა.

შემაკრთო სიჩუმემ, როდესაც მოეცვა არა მარტო ეს ოთახი, არამედ ყველაფერი მის გარშემო.

მოხუცი ნელა, აუჩქარებლად თავდებოდა.

ოდესღაც წაკითხული: „როცა მახლობლად მძიმე ავადმყოფია, რომლის გადარჩენა არ შეიძლება, ყველას ფარულად სურს ბარემ გათავდეს".

ამიტომ არის ალბათ აქ ასეთი სიჩუმე.

ელოდებიან მოხუცის წასვლას...

ფიქრებმა შემიპყრო. შემებრალა მოხუცი. ცრემლი მომერია. წამით თვალი დავხუმე. რა არ წარმოვიდგინე...

თითქოს კარი გაიღო.

ოთახში საშუალო ხნის ქალი შემოვიდა. აქა-იქ ჭიაღარა უმშვენებდა თავს. ოთხი თუ ხუთი ბავშვი შემოჰყვა, ერთი მეორეზე უკეთესები, ბავშვებს კი მამა, დარბაისელი და მშვენიერი ვაჟკაცი.

ქალი მუხლებზე დაეცა მომაკვდავი მოხუცის წინ.

— მამა! — შეჰქვითინა მან და მის მკერდზე დაემხო.

ბავშვები გარს შემოერტყნენ მომაკვდავს. — ბაბუ, ბაბუ, — ქვითინებდნენ ისინი, მამაკაცი კი გაქვავებული იდგა და ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდდა.

— მამა! — ისევ მომესმა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვა.

ქალის ცხელი ცრემლები ეცემოდნენ მოხუცის ხელებს, მკერდს, სახეს.

ამ ქვითინმა, ამ ცრემლებმა, ამ ზარმა წამით გამოიყვანა იგი ღრმა თავდავიწყებიდან. სცადა თვალი გაეხილა, მაგრამ ვერ მოახერხა, მხოლოდ დამჭკნარი ხელი გადასწია და ქალის ხელს დაადო.

და ასე გაქვავდნენ.

ნელა მიემართება სამგლოვიარო პროცესია.

მოხუცს მიაცილებენ შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები, ნაცნობ-მეგობრები... ყველას გული სწყდება, ის ქალი ისევ ტირის და ტირის: „მამა, მამა".

და გავიფიქრე: ნეტავი რად შემებრალა ასე ძლიერ ძია კოტე! მაინც რა სჭირდა შესაბრალისი! აგერ რამდენი ჭირისუფლები ჰყოლია! უეცრად გამოვფხიზლდი, წარმოდგენა გაქრა, ბურუსი გაიფანტა.

ოთახში მამაკვდავის მეტი არავინ იყო. სიჩუმე სუფევდა.

კონა მიქაძე.

მხატვრობა **ბ. როინიშვილისა.**

კოპენჰაგენი, („კომუნისტის" სპეც. კორ. ტელეფონით). დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა ტურნე დანიაში. 14 აგვისტოს თბილისის „დინამო" შეხვდა ქ. ესბერგში ადგილობრივ გუნდს. თუმცა დანიის ფეხბურთის სამშობლოდ ქ. ვალეა აღიარებული, ფეხბურთის ნამდვილ სამშობლოს ესბერგი წარმოადგენს. „ესბერგი" 2 წელია დანიის პირველობის გათამაშების ლიდერია. წელს 11 თამაშიდან 18 ქულა მოაგროვა, 8 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება —ასეთია „ესბერგის" მაჩვენებლები. 1960 წელს რომში ოლიმპიური თამაშების ფინალში გასული დანიის ნაკრები ძირითადად „ესბერგის" მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. წელს „ესბერგი" მონაწილეობას იღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

თბილისის „დინამოს" „ესბერგის" სახით მრისხანე მოწინააღმდეგე ჰყავდა.

თუმცა წვიმდა, ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი.

თბილისის „დინამო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე (ლეკვავა), სეფინავა, ხუციელავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, მესხი.

მიუხედავად წვიმისა, თამაში მეტად სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ორივე მხრივ იერშს იერშში მოსდევდა. მე-18 წუთზე თბილისელთა